სადოქტორო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია, ასოცირებული პროფესორი მამუკა ბიჭაშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც მაღალთეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს. უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. გარდამავალი სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში დოქტორანტს სთავაზობს შემდეგ სპეციალიზაციებს:

1. მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია.
2. ფილოსოფიის ისტორია,
3. კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა.
4. სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია.
5. ლოგიკა და ენის ფილოსოფია.
6. ეთიკა და რელიგიის ფილოსოფია და ა.შ.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას, პროგრამა ითვალისწინებს ტრადიციული ფილოსოფიური სტრატეგიების კონკრეტიზაციას ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ონტოლოგიურ მოდუსში. კერძოდ, სწავლებასა და კვლევას მეტაფიზიკისა და ეპისტემოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის, ეთიკის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, ლოგიკის, რელიგიის ფილოსოფიის და ა.შ. მიმართულებით. იგი ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა.

შედეგი

დოქტორანტი შესძლებს განსახილველი საკითხის ნათლად არტიკულირებას სხვადასხვა სფეროებში. აზრის სიზუსტის მიღწევასა და მის ადექვატურ გამოყენებას რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას. სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაციას. წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასებას. დოქტორანტი თავისუფლად შესძლებს პოზიციის დამადასტურებელი, ან საწინააღმდეგო მაგალითების აღმოჩენას და შესაფერისი ძლიერი და სუსტი მოსაზრებების განცალკევებას. სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმას. მეთოდოლოგიური შეცდომების გაცნობიერებას.

დასაქმების სფეროები

- კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში. საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.
- საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურის და პოლიტიკის შესახებ მონაცერმთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად.
- სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.
- ანალიტიკურ ცენტრებში

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია ფილოსოფიის სპეციალობის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების გარდამავალი დებულებები. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

კვლევითი კომპონენტი:

სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word -ში, შრიფტის ზომა _ 14). დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი დასაცავად წარადგენს სადოქტორო დისერტაციას.

სადოქტორო დისერტაცია დასაცავად დაიშვება თუ საკვლევი თემის ირგვლივ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 3 ნაშრომი რეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში.

სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა: სტუდენტები ისარგებლებენ ინტერნეტით, ბიბლიოთეკით. ისინი პროფესიული მომზადების პროცესში სადოქტორო პროგრამის პედაგოგებისაგან მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციასა და კონსულტაციას. უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამაზე შესაძლებელია მიღებული იქნას 10 დოქტორანტი

პროგრამაში მონაწილე პროფესორები:
სრული პროფესორი ლელა ალექსიძე, სრული პროფესორი კახა კაციტაძე, სრული პროფესორი გიორგი ბარამიძე, ასოცირებული პროფესორი რეზო გორდეზიანი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი ლერი მჭედლიშვილი, ასოცირებული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი, ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია, ასოცირებული პროფესორი მამუკა ბიჭაშვილი,